

ლილა

572
1952 / 2

„საბავშვო, ტურთა ჰეყანაჲ,
იღინე, ქართული შიარო,
და სერე, ქართული, სწავლითა
სამშაბლო კახარო!“

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ფილელთეიური საბავშვო ჟურნალი მკერდულტავანთების





ჩვეუბანი

5

ნახატი რ. ხატურაძე

შინ შემოირბინა გოგამ,
შინ შემოირბინა თამარმა,
ეს მართლა ხუმრობა როდია,
შემოჰყვათ ხუთების ამაღა!

„ხუთებით“,
„ხუთებით“,
„ხუთებით“,
საესეა ლამაზი ფურცელი,
უფროსი მათ დათვლას ვუნდები,
ვხარობ და პატარებს ვუტყერი.

ვერ ვხედავ კუზიან „ორიანს“,
ამაღლ დავეძებ „სამიანს“,

„ოთხიანს“ იპოვნი გგონია?
ზოგისთვის რომ დიდი რამეა!

„ხუთები“, სულ მარტო „ხუთები“,
დამსხდარან ისე ვით მერცხლები,
უფროსი მათ დათვლას ვუნდები,
ბავშვების სიხარულს ვესწრები.

ვულოცავ თამარს და გოგიას,
რომ გახდნენ მეორეკლასელები.
ეს მართლა ხუმრობა როდია—
ატარო „ხუთონის“ სახელი!



ბიოგრაფიკული

ნახატები გ. როინიშვილისა

ცოდნის დედა

თინა სკოლიდან აღელვებული დაბრუნდა. წიგნების ჩანთა თავის პატარა მაგიდაზე დადო და უნებურად ამოიოხრა.

დედამ მაშინვე შეამჩნია, რომ გოგონას რაღაც აწუხებდა. სხვადროს სკოლიდან მხიარული ბრუნდებოდა, დედას დაინახავდა თუ არა, გაიღიმებდა, ცერათით ხელისგულზე მიიკრავდა, ოთხ თითს ჰაერში შეათამაშებდა და ოთახს ქღურტულით აავსებდა.

მისი ოთხი გაშლილი თითის დანახვაზე, რომელიც ოთხიანის მიღებას ნიშნავდა, დედაც გაიღიმებდა, შუბლზე აკოცებდა და ცერათითს გაუშლიდა.

— აი, ეს თითი გიშლის, თორემ ხუთოსანი იქნები. აბა, ვინძლო, გამოცდებისთვის კარგად მოემზადო და არ შემარცხვინო!

ჰოდა, შეამჩნია თუ არა მოწყენილობა, დედამ მაშინვე ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხარ, შვილო?

— არა...— უგულოდ უპასუხა თინამ.

დედა მიუახლოვდა, მხარზე ალერსით დაადო ხელი.

— შენ რაღაც გაწუხებს, ნუ დამიძალავ, მითხარი...

— არაფერი!..— კვლავ მოკლედ უპასუხა თინამ.

დედა მოშორდა შვილს და თავისაკემეს დაუბრუნდა. მალიმალ შვილისაკენ იუურებოდა, ცდილობდა მიმხედარიყო, რა აწუხებდა პატარას.

გოგონა დიდხანს არაფერს ამბობდა; ეტყობოდა, ყოყმანობდა, თქმას ვერ ბედავდა. ბოლოს დედასთან მივიდა, კალთაში ჩაუჯდა და დაღონებული თვალებით შეხედა.

— იცი, დედა, მე მეშინია...

— რის, შვილო, რის გეშინია?— ჩაკითხა შემკრთალი დედა.

თინამ თავი ჩაღუნა, აწითლებული სახე დედის მკერდს მიაყრდნო და გაუბედავი ხმით აჩურჩულდა:

— დედა, მე ბილეთებისა მეშინია...

— რა ბილეთების, შვილო, რა ბილეთების გეშინია?..— გაოცდა დედა.

5/4/3



— საგამოცდო ბილეთების...
დელას გულზე მოეშვა. გაიღიმა, თავი აუწია და შუბლზე აკოცა.

— კარგ მოსწავლეს გამოცდების არ უნდა ეშინოდეს, შეილო!

— მართალია, მაგრამ... აი, წელან კატომ მითხრა: ბილეთებში ისეთი ძნელი შეკითხვებია, ისეთი ძნელიო, რომ...

— არა, შეილო, — ამწვიდებდა დედა, — ალბათ გეხუმრა, ბილეთებში მხოლოდ ის სწერია, რაც წელს ისწავლეთ!

— ყველაფერი?.. ნუ თუ რაც წელს ვისწავლეთ, ყველაფერს გვკითხავენ?.. — შეშფოთდა თინა.

— არა, ბილეთში ორი-სამი კითხვა იქნება, თუ პასუხს კარგად გასცემ, კარგ ნიშანსაც მიიღებ!

— მერე, რომ დამავეწყდეს... რომ შეშვალოს?..

— ნუ გეშინია, ჩემო მერცხალო, — სიცილით თქვა დედამ და ფეხზე წამოდგა, — გამოცდებიც სწორედ მაგისტომ არის მოგონილი, რომ ის, რაც გისწავლიათ, ხელახლა უნდა გაიმეოროთ. გამიგონია: „გამეორება ცოდნის დედაა“. თუ კარგად გაიმეორებ, არც არაფერი შეგეშვლება და არც დაგავიწყდება!

თინა ჩაფიქრდა. დედის ნათქვამმა გუნება შეუცვალა. გულში რამდენჯერმე გაიმეორა: გამეორება ცოდნის დედაა და თანდათან დამშვიდდა.

* * *

მართლაც ამის შემდეგ თინა ყოველდღიურად იმეორებდა განვლილ გაკვეთილებს. გამოცდები ახლოვდებოდა, — პირველი გამოცდები, რომელსაც ყველა გულისფანქვალთ მოელოდა. თინაც იჯდა თავის პატარა მაგიდასთან, ლექსებს ხმამაღლა, ბეჯითად იხეპირებდა, საანგარიშოს ანგარიშობდა, პატარა მო-

თხრობების მოკლე შინაარსს წერდა... შინაო რვეულში და ეზოში სათამაროდ მხოლოდ მეცადინეობის შემდეგ ვალიოდა.

ერთხელ თინას მეცადინეობის დროს კატო ეწვია. კატო ხუთოსანი მოსწავლე იყო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ამაყობდა თავისი ხუთებით. როცა დაინახა, რომ თინა ამ ხუთი-ექვსი თვის წინ ნასწავლ ლექსებს იმეორებდა, ამხანაგს სიცილით უთხრა:

— თავის დროზე უნდა გესწავლა კარგად, მაშინ ჩემსავით თავისუფალი იქნებოდი და ამდენი წვალემა არ დაგჭირდებოდა!

— გამეორება ცოდნის დედაა! — უთხრა ჩაფიქრებით თინამ, — არც შენ ვაწყენს, რომ ხელახლა გაიმეორო ყველაფერი!

კატომ ცხვირის აბზუებით უპასუხა:

— მთელი წლის განმავლობაში ხუთოსანი ვარ, რაღა გამეორება მინდა? ესეც ვიცი! ეს ლექსიც! ეს ხომ წყალივით ვიცი! ხუთზე ჩავაბარე!

ეს რომ თქვა, შეიკუნტრაუშა, ხელები გაშალა და სიცილ-კისკისით წამოძახა:

— გამეორება ზარმაცებისათვის არის მოგონილი...

მე კი, მეყოფა სწავლა, ახლა კარგია, გავლა!

— კატო, კატო, მომისმინე... დედამ მითხრა...

მაგრამ კატოს უკვე აღარ ესმოდა თინას ძახილი. ის ეზოსაკენ მირბოდა მზიარული, უზრუნველი სიძღვრით.

ალბათ მართლაც ყველაფერი იცის... ბედნიერია... მე კი, ვაი თუ ვერ ჩავაბარო? — ფიქრობდა დაღონებული თინა.

* * *

გამოცდაზე თინა და კატო ერთად შევიდნენ.

თინა ღელავდა. წელს პირველად გალიოდა გამოცდაზე.

კატო ამაყად გაემართა მასწავლებლის მაგიდისაკენ. ერთი ბილეთი აიღო და მერხთან გაჩერდა. თინამაც მის მაგიდისთვის მიბაძა.

— აბა, კატო, დაიწყე!— გაისმა მასწავლებლის წყნარი ხმა.

— „გაზაფხული... გაზაფხული“.— დაიწყო კატომ, მაგრამ უცებ ენა დაება.— „მოდის... მოდის... გაზაფხული“... იმეორებდა ერთსა და იმავეს იგი და მეტის თქმას ვეღარ ახერხებდა. ბოლოს გაჩუმდა და თავჩაღუნული გაჩერდა.

— რა დაგემართა, კატო?... აბა, გაიხსენე!

კატო ცდილობდა გახსენებას, მაგრამ შემკრთალ გულს ვეღარ იმორჩილებდა, შეშინებული აცეცებდა ღიღრონ თვალებს.

მასწავლებელმა ახლა თინას შეხედა.

— აბა, თინა, გაახსენე!

თინამ თავი მალლა ასწია, გაისმა მისი წკრიალა ხმა. მასწავლებელი იღიმებოდა...

თავის ბილეთის კითხვაზეც კარგად უპასუხა თინამ. მასწავლებელი კმაყოფილი დარჩა, თავზე ხელი გადაუსვა და „ხუთიანი“ დაუწერა.

კატო კვლავ თავჩაღუნული იდგა, ტუჩებს იკენეტდა.

— კატო, გეტყობა, განვლილი მასალა არ გაგიმეორებია, შენგან ამას არ ველოდი. რა გეშველება, რომ ხუთს ვეღარ დაგიწერ!— უსაყვედურა მასწავლებელმა კატოს.

— მასწავლებელი... მასწავლებელი... მე მეგონა. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა კატო და თვალებზე ცრემლი ადგებოდა.

თინა და კატო ერთად გამოვიდნენ გარეთ.

შშენიერი მზიანი ღღე იყო. სკოლის ეზოში ამართული ჭადრის ხის ფოთლებში ჩიტები საამურად ჭიკჭიკებდნენ, ისმოდა გამოცდებიდან გამოსული ბავშვების ყვირილი; ყველა მხიარულობდა, მხოლოდ კატო იყო მოწყენილი.

თინას შეებრალა ამხანაგი, მხარზე ჩემოდა და დააპყრო და მოფერება დაუწყა. კატომ ცრემლიანი თვალები მოიწმინდა.

— თინა, შენ მართალი მითხარი მაშინ, გამეორება თურმე ყველასათვის ყოფილა საჭირო, მე კი... მე კი არ დაგიჯერე...



ზაზამ გამაბრაზა

დედა, დედა!.. რა თქვა! რა თქვა!..
რა ცუდია ზაზა!
„თოჯინები მკვდარიიან!“ —
როგორ გამაბრაზა!

მკვლარი მისი „ცხენი“ არის,
ჯოხს დაარქვა ცხენი;
შეჯდება და თვითონ დარბის
ჭიხვინით და ქშენით!

თორემ ჩემი თოჯინები
ცოცხალია ყველა,

რომ დავაწვენ, თვალს ხუჭავენ,
იძინებენ ხელად;

როცა ვეტყვი, დასხდებიან,
ზოგჯერ ფეხზეც დგანან!..
„თოჯინები მკვდარიიან!“ —
ახლაც იტყვის განა?!

დედა, დედა! რა თქვა! რა თქვა!
რა ცუდია ზაზა!
„თოჯინები მკვდარიიან!“.
როგორ გამაბრაზა!

თინათინ კვიციანიძე

ბევრი კუთხე მოგვებლია

— რა კარგია, ზურა, როცა
არაფერი არ გაწუხებს;
მართალი თქვი, არხეინად
არ გეძინა განა წუხელ?
წამო, ძმაო, ვითამაშოთ,
გაკვეთილებს არ მოვცდებით;
ჩვენ ხომ უკვე ჩაეაბარეთ
სახაფხულო გამოცდები.
წარმატების მოწმობები
სულ ხუთებით დავიმშენეთ.
მე მგონია, სახაფხულოდ
წელს ბანაკში გავგიშვებენ.
რა კარგია, თუ კი წელსაც
ისევ ზღვაზე გავვაგზავნენ,
ვიცურავებთ, არ დავიკლებთ
მცხუნვარე მზის აბაზანებს.
ჩვენ ხომ დღემდე საქართველოს
ბევრი კუთხე მოგვივლია;
სადაც წავალთ, სულერთია,
ყველგან კარგად მოგვივლიან.





არლიონ ქარაძე

მეგობრები

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

ფატი კოლმეურნეობაში, ჩაის მკრეფავთა შორის ყველაზე პატარა და მზიარული იყო. როგორც კი დროს იპოვნოდა, პლანტაციისაკენ გაეშურებოდა და წკრიალა ხმით შემოსძახებდა:

მოდით, მოდით, გოგონებო,
ვკრიფთო ჩაის ფოთოლი!
აბა, ვნახოთ, უფრო ჩქარა
ვინ ააესოს გოდორი!

გოგონებიც გამობრბოდნენ, მიეშურებოდნენ პლანტაციაში. გამობრბოდა ფატის მეგობარი დარიკოც, ისინი ერთ რგოლში იყვნენ.

ფატი და დარიკო ერთად სწავლობდნენ, ერთად თამაშობდნენ, ერთად დადიოდნენ კინოში. ორივე ქების სიგელით გადავიდა მეოთხე კლასში. როცა მოესურვებოდათ, ერთად მიდიოდნენ ჩაის საკრეფად. სოფელში ყველამ იცოდა, რომ ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. სადაც ფატი იყო, იქ დარიკოც გაჩნდებოდა.

სადაც ფატი მივროდა, იქ დარიკოც წკრიალა ხმაც ისმოდა.

დღესაც ერთად მივიდნენ მეგობრები პლანტაციაში და დედებს ამოუდგნენ გვერდით.

უკვე მეორე ზაფხულია, რაც ფატი დედას ეხმარება. სანამ კრეფას დაიწყებდა, ფატის ეგონა, რომ ჩაის კრეფა ადვილი საქმეა. აი, დგას ბუჩქი, დაუსხამს მწვანე ფოთოლი, მიდი და დაკრიფე. ნამდვილად კი ასე როდი ყოფილა! თურმე ჩაის კრეფისას დიდი გულმოდგინება და წესრიგია საჭირო; ხელდაუბანელად კრეფა არ შეიძლება, კალათა და გოდორი სულთად უნდა გქონდეს, ნორჩი და უხეში ჩაის ფოთოლი ერთმანეთში არ უნდა აურიო. ერთი სიტყვით, თუ წესები დაარღვიე, ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტში შერცხვები. თუ უხეში ფოთოლი მიიტანე, ან არ მიიღებენ, ან ცულ ხარისხში ჩაითუვლიან.



ფატიმ ჯერ კიდევ შარშან ისწავლა დედისაგან, თუ როგორ უნდა შეარჩიოს მოსაკრეფი ყლორტები.

— მთავარია ხარისხი, შეილო! ასი ყლოვრამიცი რომ მოკრიფო დღეში, რა ფასი აქვს, თუ უხარისხო იქნება?—ასწავლიდა დედა და ფატიკ აკვირდებოდა ზუჩქებს: თურმე ყოველ ზუჩქს თავისებურად ასხია ფოთოლი. ფატიმ შენიშნა, რომ კარგი კრეფა დამოკიდებული იყო თვალის გაჩევევაზე და თითების გაწრთვანაზე.

„დაკვირვებული თვალი და მადლიანი თითები აღმოაჩნდა ჩემს გოგონას“— თქვა ერთხელ ფატის დედამ. მართლაც ფატი ბუჩქებს რომ მიადგებოდა, ასე გეგონებოდათ, კარგი პიანისტი კლავიშებზე უკრავსო, ისე მარდად დარბოდნენ თითები ბუჩქზე. ფატის თვალი სწრაფად არჩედა ნორჩსა და უხემ ყლორტებს. ამიტომ ერთმანეთში მათ არასოდეს აურევდა.

ასეთი იყო ფატი. მის ტოლ მოსწავლეებში მხოლოდ ლეილა თუ გაუტოლდებოდა ჩაის კრეფაში.

ხარისხის გამორჩევაშიც გაიწაფა ფატი, ხშირად გაჩნდებოდა ჩაის დამხარისხებელთან. უყურებდა, ვის როგორი ჩაი მოჰქონდა და ხმამაღლა იძახოდა:

— დეიდა გულიკომ პირველი ხარისხის ჩაი ჩააბარა!

— დეიდა მანანამ მეორე ხარისხის ჩაი ჩააბარა!

— ჩვენმა თამარმა უხარისხო მოიტანა!

— შენ ვინ გეკითხება, ბედურავ!— შემოსწყრა ერთხელ თამარი ფატის და ყველას გაეცინა. ჩაის დამხარისხებელმა კი ფატის დაუჭირა მხარი და ღიმილით თქვა:

— ფატი არ ცდება, გაწაფული თვალი აქვს. თქვენ ნახავთ, თუ მომავალში ფატი არ იქნეს ჩვენი კოლმეურნეობის ჩაის დამხარისხებელი.

ფატის თვალები აუციმციმდა. ისეთმა

სიწითლემ დაჰკრა, რომ ლოყებიც ბრუნველს დაემსვავსა.

დღეს განსაკუთრებული ხალისით კრეფდნენ გოგონები. დილიდანვე ორი რგოლი ეჯობებოდა ერთმანეთს. ერთი რგოლის მეთაური ლეილა იყო, მეორესი—ფატი. ამჟამად გოგონა ლეილა მუდამ იმას ცდილობდა ფატი უკან მოეტოვებინა.

ფატი კი პირველობას არ უთმობდა. განსაკუთრებით დღეს უნდოდა თავის გამოჩენა, რადგან ბავშვთა საერთაშორისო დღე იყო და სურდა უკეთესი მუშაობით რგოლთან ერთად თავი ესახლებინა; დარიკოსაც ამიტომ აქეზებდა.

მთელი დღე ფრიალებდნენ ფართო ქულები ჩაის ბუჩქებთან. მზეზე ყვაილებივით მოჩანდა მოსწავლეთა ფერადი კაბები. საღამომდე ისმოდა პლანტაციის მიხიარული ჟრიაშული.

საღამოს ყველა გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მწონავსა და დამხარისხებელს, — შეჯიბრების შემოწმება ხდებოდა. ფატი და ლეილა თითქმის ბარიბარს იყვნენ, მათი მოკრეფილი ჩაის წონა ერთი მეორეს მისდევდა.

მიმღებ პუნქტზე ყველაზე გვიან დარიკო მოვიდა. როცა მისი გოდორი მანქანიდან გადმოიტანეს და სასწორზე დადეს, ყველა დარიკოსა და მის ჩაის ფოთლის მიაჩერდა. ეს გოდორი წყვეტდა პირველობის საკითხს.

დარიკო გაინაბა. ფარდულის იატაკი მოფენილი იყო ჩაის მწვანე ფოთლებით.

გოდორი რომ ასწონეს, დამხარისხებელმა აიღო რამდენიმე ყლორტი, მოეწონა. ვაღმობაპირქვავეთო,— თქვა და მაგიდას მიუჯდა, რომ წონა და ხარისხი ჩაეწერა.

გოდორი რომ ვაღმობაპირქვავეს, ფატი ჩვეულებისამებრ დააკვირდა, სურდა გაეგო, რა ხარისხის ჩაი იყო; დასტავა ხელი ყლორტებს და გაშეშდა. ჩაი უფარვისი აღმოჩნდა. დარიკომ თვალი ჩაუკრა: ჩუმად, არაფერო თქვაო!



თუ ეს გოდორი კარგ ხარისხში ჩაგვი-
თვალეს, შეჯიბრება მოვიგეთ. დარიკო
ხომ ჩვენი რგოლის წვევრია!—გაიფიქრა
ფატიმ და შეხედა დამხარისხებულს.—
მაგრამ თუ დამხარისხებულმა გაიგო და-
რიკოს ცუდლუტობა, მაშინ გამარჯვე-
ბული ლეილას რგოლი გამოვა. ლეილას
დახატავენ კედლის გაზეთში. მის სახელს
საპატიო დაფაზე დაწერენ. ფარდულთან
შეკრებილ მკრეფავეებს ახლავე გამოუც-
ხადებს დამხარისხებელი ლეილას გამარჯ-
ვებას! ჰო! ჰო! როგორ ამაყად ასწევს
თავს ლეილა!..

მაგრამ განა ესაა მთავარი? ფატიმ იცის,
რომ შეჯიბრებაში ან ერთმა უნდა გაი-
მარჯვოს, ან მეორემ. აქ არაფერია და-
სამჩახისი. საქმე ის არის, როგორ გაი-
მარჯვებ, —სიმაართლით თუ ცუდლუტო-
ბით?!

— ფატი, დარიკოს მოკრეფილი ფო-
თლები ერთი ხარისხისაა? მოიტანე ქვე-
და ყლორტები! —გასძახა დამხარისხე-
ბელმა.

— ახლავე! —და ფატიმ ხელი გასწია
გროვად დაყენებულ ფოთლებსაკენ.

დარიკო მივარდა, პირველი ხარისხის
ფოთლები შეაჩენა ხელში და ჩასწურჩუ-
ლა:

— ეს მიეცი, დაგიჯერებს!.. გეფიცები,
ნამდვილად დაგიჯერებს... ლეილას ვა-
ჯობებთ!

ფატი წამით შედგა. ვთქვათ, დაუჯე-
რა დამხარისხებულმა... მაგრამ განა მარ-
ტო დამხარისხებულს მოატყუებს ფატი?
ეს ჩაის ფოთლები ხომ ქარხანაში მიდის?
ქარხანამ კი კარგი ჩაი უნდა მისცეს ქვე-
ყანას. იმ ჩაის აწერია „ქართული ჩაი“.
თუ დარიკო მისი მეგობარია, ეს იმას
როდი ნიშნავს, რომ სიყალბე ჩაიდინოს.
ლეილასთან შეჯიბრება კი განა მტრო-
ბაა? ამხანაგური ამბავია... და ფატიმ ცი-
ვი, დაბალი ხმით თქვა:

— უხარისხო ფოთოლია!

დარიკო აენტო. სახე წამოუწითლდა
და ისევ ჩასწურჩულა ფატის:

— რას შვრები? ესაა შენი ამხანაგობა?

— რას ამბობ, დარიკო? განა შეიძლე-
ბა მწონავი მოვატყუოთ?!

— უპასუხა ფა-
ტიმ მეგობარს, ყლორტები დამხარისხე-
ბელს მიაწოდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ფოთოლი უხარისხობა!..



არსვლა პლანიძე

მწყემსებთან

გია და მალხაზი სწავლის დამთავრების შემდეგ ძია ვანოს გაჰყენენ მთებში. მთელი ზაფხული მთებში მწყემსებთან უნდა გაეტარებინათ; ცხერის მოვლაში მიეხმარებოდნენ მწყემსებს, თანაც უნდოდათ, რომ კაცკასიონის თოვლიანი მწვერვალები ახლოს ენახათ, გასცნობოდნენ მეცხვარეების ცხოვრებას.

პატარა მგზავრებმა წასვლისას თან წაიღეს თავიანთი ხელით დამზადებული საჩუქარი მწყემსებისათვის.

მეცხვარეებს მათი მისვლა ძლიერ გაეხარდათ, მისვლისთანავე „ციდა მწყემსები“ უწოდეს პატარებს, მათმა შიტანილმა საჩუქარმაც ძლიერ გაახარა ყველა.

ასეთი ბიჭები ჩვენს ბინაში ჯერ არ მოსულანო,—გაძიახოდნენ მწყემსები.

გია და მალხაზი მეორე დღიდანვე შეუდგნენ საქმიანობას; მწყემსების დახმარებით დაიწყეს თავისი საჩუქრის გამზადება; ხევში ხშირად ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ, მუდმივ ფაცა-ფუცში იყვნენ, მაგრამ დიდხანს არავინ იცოდა, თუ რას აკეთებდნენ ისინი. შემდეგ კი მთელმა მთამ გაიგო მათი მოტანილი საჩუქრის ამბავი, სანახავლად კი მოდიოდნენ.

პატარები უზომო სიხარულს გრძობ-



დნენ, რომ მათაც თავისი წვლილი შეიტანეს მწყემსების ცხოვრებაში.

მალე გია და მალხაზი პაპა იოთამის ფარაში გაისტუმრეს დამხმარე მწყემსებად.

— რომ იცოდეთ, ციდა ბიჭებო, პაპა იოთამმა რა ზღაპრები იცის,—უთხრა ბინის უფროსმა ბავშვებს,—გზასავით გრძელი, ზღვასავით ფართე, შაქარივით ტკბილი და დედის გულივით საყვარელი. ისეთი, ისეთი, რომ ყურს ვერ მოაშორებთ, გაჰყევით პაპა იოთამს, შემოგატარებთ ფერად მთებს, გასწავლით ცხერის მოვლას, მწყემსების საქმეს!



გავიდა ხანი. ერთხელ გიას და მალხაზს ბინის მახლობლად პიონერული საყვირის ხმა შემოვსმთ, მალე ბავშვებიც გამოჩნდნენ. მოდიოდნენ გუნდ-გუნდად, ყიყინით, თანაც ყვავილებს ჰკრეფდნენ. მათი ყელსახვევები ყაყაოებოვით ელავდნენ მწვანე ფერდობზე.

— გა! პიონერები მოდიან! — მიუბრუნდა მალხაზი ამხანაგს.

— ამ სიშორეზე, მთებში?!

— ნეტავ, საიდან, რომელი სკოლიდან იქნებიან?! — ეკითხებოდნენ ერთიმეორეს პატარა მწყემსები.

მგზავრები ცხვრის ფარას რომ მიუახლოვდნენ, ვილაკამ წამოიძახა: ძაღლებიო — და ატეხეს ჩოჩქოლი, უკან დაიხიეს. მათ ჩოჩქოლზე პატარა მწყემსები გაჯანდნენ მისაშველებლად, ძაღლებს სახელები მიიძახეს და თანაც კომბლები შეუმალდეს, წინ გადაუარეს.

პატარა მწყემსებსაც წითელი ყელსახვევები უფრიალებდათ მკერდზე.

— ისინიც პიონერები ყოფილან, — აჩურჩულდნენ ბავშვები და ყველას სახეზე ღიმილმა გადაუბრინა; ცილა მწყემსებს უფრო გაუხარდათ იმათი გამოჩენა, ძაღლები კი დევ დატუქსეს და მგზავრებისაკენ გაიქცნენ.

— პიონერული სალამი! — მიიძახეს მისელისთანავე გიამ და მალხაზმა და მარჯვენა ხელი თავზე აღიმაღლეს.

პიონერები მათ გარს შემოგვივივნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ, დაუწყეს გამოკითხვა, ერთი მეორეს აღარ აკლიდნენ; ისინი მახლობელი სოფლიდან მთებში ექსკურსიაზე წამოსულიყვნენ.

— ჩვენი სტუმრები იყავით! — მიმართა მალხაზმა პიონერებს, — დარჩით, რამდენი ხანიც გინებოთ.

— წამობრძანდით! — შეეხვეწა ახლა გია, — ბინა აქვე ახლოს არის. მწყემსებს თქვენი ნახვა ძლიერ გაეხარდებათ!

სტუმრები გაჰყვნენ მასპინძლებს. უკვე დამდებოდა. ბინაში უამრავი ხალხი და-

ხდათ, ყველა თავისი საქმიანობით იყო გართული: ბროლივით თეთრ ყველს აკეთებდნენ, ჯარაქს იღებდნენ, პურს აცხობდნენ, ზოგი წიგნებს და გაზეთებს კითხულობდა, ბინაში ისმოდა საამური მუსიკის ხმა.

— ეს ბინა კი არა, მთელი ქალაქი ყოფილა, მწვანე მთებში გაშენებული, — ამბობდნენ სტუმრები, ისინი ყველაზე მეტად ელექტრონის შუქმა გააოცა. შეცხვარების ოთახში ორი ელექტრონათურა ეკიდა, რადიომიმღებაცქონდათ მოწყობილი.

— ეს შუქი აქ საიდან გაჩნდა, რადიომიმღებს ელექტრონით ამუშავებთ? — იკითხეს ბავშვებმა.

— ეგ გიას და მალხაზის მოტანილი საჩუქარია, — უპასუხა პაპა იოთამმა სტუმრებს, — უფრო ძლიერი შუქის მახარობელია, რომელსაც მალე დიდი ელექტროსადგური მოგვაწვდის ამ მთებიდან. ამ შუქს კი ჩვენი პატარა მწყემსების მოტანილი დინამომანქანა გვაძლევს. ის ისე პატარაა, რომ ძალა მხოლოდ რადიომიმღებებსა და რამდენიმე ნათურას ჰყოფნის.

— პატარა ელექტროსადგური აქვე ხევში ჩავდგით და ელექტროდენი დღე და ღამე მოდის ასე დაუსრულებლივ! — აუხსნეს სტუმრებს გიამ და მალხაზმა.

— წავიდეთ, ვნახათ! წავიდეთ! — წამოიძახეს ბავშვებმა.

სტუმრებს მოხუცი იოთამი და ცილა მწყემსები გაუძღვენენ.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ჩანჩქერი. იქვე ვეება წიფელზე ფერადი ასოებით მწერა: „ელექტროსადგური“.

— ესეც ელექტროსადგური! — წამოიძახა მოხუცმა და შეჩერდა. ყველა გარს შემოეხვიო.

ხის პატარა ძელებზე კობტად დაედგათ რკინის ყუთი, იგი მათ წინასწარ ქალაქში დაამზადეს.



მოხუცმა პიონერებს, — დიდი საქმეა ჩვენს ველთვის პატარით იწყება, ამ ადგილზე დიდი ელექტროსადგური აშენდება და ამ მთებს გაანათებს.

სტუმარ-მასპინძლები უკან რომ დაბრუნდნენ, ბინის გარშემო ვაისმა ცხვარბატუნის ბლავილი, მწყემსების სტეწვა, მოძახილი, ძაღლების ყეფა.

— ახლა ცხვრის ფარები ბრუნდებიან საბალახოდან ღამის სადგომებისაკენ, — უთხრა მოხუცმა სტუმრებს, — ვიჩქაროთ, მთებში ამაზე უკეთესს ვერაფერს ნახავთ! მართლაც თეთრი ღრუბლებივით უნაპიროდ გაშლილი ცხვრის ფარა მოდიოდა ყოველი მხრიდან, თან მწყემსები და დიდრონი ძაღლები მოჰყვებოდნენ. ბავშვები ალტაცებით გაიძახოდნენ:

— აი, ის, რქებ-დაგრებილი ჩემი ფალავანი იყოს!

— მე ნისლა მიჩქვენია!

— მე ბროლა, იმას ვერც ერთი ვერ მოერგვა!

— თქვენია, ყველა თქვენია, ჩემო მალხაზემო! — დიმილით ეუბნებოდა მათ პაპა იოთამი და ალფერისიანდ შესცქეროდა გამზიარულეებულ ბავშვებს.

ყუთში მოწყობილი იყო პატარა ტურბინი და ღინამომანქანა; ზემოდან ხის მილით წყალი ტურბინის ბორბალს ამოძრავებდა. ღინამომანქანა კი სასიამოვნოდ ღულუნებდა და შეუწყვეტლად გზავნიდა ელექტროდენს ზემოთ, მეცხვარეთა ბინებისაკენ.

— ასეა, ჩემო პატარებო! — მიმართა

მხსრან მახაპარიანი

ყაყაჩო და დალი

— გათენდაო! — ყაყაჩომაც გაახილა თვალი; დილაა და სკოლისაკენ მიცუნტულებს დალი, პაწაწინა, ცეროდენა, ცუგრუმეღა ქალი; ღობე-ღობე ჩურჩულებენ ქადარი და ქარი; ჩურჩულებენ: — ვინ ჯობია ყაყაჩო თუ დალი?!





სოფლად სააგარაკოდ ჩამოსულ საბავშვო ბაღში ბევრი გოგონა და ბიჭი იყო: კარგები, უკვიანები და ცქრიანლები. თამაშით უყვარდათ და სათამაშოების მოვლა - გაფრთხილებაც. მხოლოდ ერთი ბიჭიკო ძლიერ ხელმარცხიანი იყო. ყველაფერი ხელიდან უცვივოდა. ოპ, რამდენი ჯამ-ჭურჭელი დაამსხვრია! ოპ, რამდენი თოჯინა დაამტვრია! არიგებდნენ, აფრთხილებდნენ უჩას, მაგრამ მის ხელმარცხიანობას ბოლო არ ეღებოდა.

ერთ დღეს მორთულ-მოკაზმული და წყვილ-წყვილად დარაზმული ბავშვები მინდურისაკენ გზას გაუდგნენ. უჩაც მათთან იყო.

მინდორში ბავშვები გაიშალნენ: ზოგი ყვავილებს კრეფდა, ზოგი პეპლებს იჭერდა. ბავშვებმა დინახეს, რომ სადენზე გაშლილ ხორბლის ახლოს ზის კოლმეურნის შვილი გოჩა, ხელგებს აქნევს აქეთ-იქით და ვასძახის მსუნავ ჩიტებს:

— აქშა, აქშა, ნისკარტავ!.. ერთ მარცვალსაც არ გაგატან!

უჩამ მიიჩინა გოჩასთან და ჰკითხა:

— ხელგებს რად იქნევ აქეთ-იქით?

— დარაჯად დამაყენეს! ვანა მუღამ უნდა ვითამაშო?!—უპასუხა გოჩამ და მწვანე შოლტი უფრო მარდად მოიქნია.

— მეც გიშველი!—უთხრა უჩამ.

— თუ გინდა, მომეხმარე!—უპასუხა გოჩამ და ბუჩქს პატარა ტოტი მოსჭრა.

— ჩვენც, ჩვენც გიშველით!—სთხოვეს ბავშვებმა გოჩას. გოჩამ იმ ბუჩქს კიდევ

მოსჭრა ტოტები, ჩამოურიგა ტოლებს და ბავშვები მზეზე გაშლილი ხორბლის ირგვლივ დასხდნენ.

— შრ, შრ, შრ...—ააშრიანდნენ ბავშვებმა მწვანე ტოტები და დააფრთხეს ბელურები, ყვანალები და სკვინჩები.

გოჩამ ბავშვებს ბაბუასაგან ვაგონილი ზღაპარი უამბო. ბავშვებმა კი გოჩა ლექსებითა და სიმღერებით გაართეს, ფერხულიც კი დაუარეს ხორბლის ირგვლივ. ამასობაში აეტომანქანამ განიავებული ხორბლის წასაღებად კოლმეურნეები მოიყვანა.

— ბიკოს, გოჩას ნადი მოუწვევია!—თქვა თავმჯდომარემ სიცილით და პატარა სტუმრებს ქუდი მოუხადა.

კოლმეურნეებმა ხორბალს ნიჩბები აპკრეს და ტომრები მოიმარჯვეს. ბავშვებმაც ეხმარებოდნენ; სანამ კოლმეურნეები პირდაღებულ ტომრებს პირამდე არ ააყვებდნენ, ხელს არ უშვებდნენ. ყველაზე მარდად უჩა ტრიალებდა.

ბოლოს კოლმეურნეები ხორბლის აღებს მორჩნენ, თავმჯდომარემ ბავშვებს მადლობა გადაუხადა და ასე უთხრა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კულრაქებო! აქედანვე იწვევით შრომას და სახალხო დოვლათის მოვლა-გაფრთხილებას!

იმ დღეს ბავშვებმა კოლმეურნეებთან ერთად მადიანად ისაღიღეს. უჩა კი იმ დღიდან ცდილობდა არაფერი დაემსხვრია არც საბავშვო ბაღში და არც საკუთარ სახლში.





პალანგის კაბაპაი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

სალამური და კალათა

ზ ლ ა კ ა ბ ი

მარწყვი რომ დამწიფდა, მთელი ოჯახი ტყი-
საყენ გაეშურა; მამას ტოლმა ეკირა, დედას
ჯამი, პატარა ენისას — კალათა, ხოლო პაწა-
წინა პავლიკას — ფინჯანი.

დედამ ენისას ყველაზე კარგი ადგილი აურ-
ჩია და უთხრა:

— აი, შვილო, აქ ბევრი მარწყვია!

ენიამ კალათას ფოთოლი ჩაუფინა და მარწყ-
ვის მებნას შეუღდა; ბევრი ეძება, ბევრი ათვა-
ლიერა, მაგრამ ვერაფერი იპოვნა და ცარიელი

კალათით დაბრუნდა.

ყველას მოეკრიფა მარწყვი, თვით პაწაწინა
პავლიკასაც კი ეპოვნა ორი მარწყვი, თავის
ფინჯანში ჩაეღო და თავმოწონედ ილიმებოდა.

— დედიკო, თქვენ ყველას გაქვთ მარწყვი
მე კი ვერ მივაგენი; ალბათ, ყველაზე ცუდი
ადგილი მე ამირჩიე!

— კარგად მოძებნე? — ჰკითხა დედამ.

— კარგად. იქ არც ერთი მარწყვი არ არის,
მარტო ფოთლებია.

— ფოთლებში თუ მონახე?..

— არა.

— აი, ხედავ! უნდა მოგეჩხა.

— რატომ პავლიკამ ვერ მონახა?

— პავლიკა პატარაა. ის თუიფონ მარწყვის
ოღენაა, შენ კი უკვე დიდი გოგონა ხარ.

ბოლოს მამამ თქვა:

— მარწყვები დიდი ეშმაკები არიან. ისინი
ყოველთვის ემალებიან ადამიანებს. კარგად
უნდა მოძებნო. უყურე, შე როგორ ვეძებ.

მამა დაიხარა, გაიღივრა ფოთლები, ზღიზღილ
დაუწყო კრეფა მარწყვს, თან ამბობდა:





— ერთ მარწყვის ვწყვეტ, მეორეს ვუყურებ, მესამეს ვინიშნავ, ხოლო მეოთხე მეჩვენება.

— კარგი, — თქვა ენიაშ. — გმადლობთ, მამა, მეც ასე მოვიტყევი.

ენია გავიდა მინდორზე, ჩაუტყდა და გადასწია ფოთლები. ფოთლებში მართლაც ბევრი მარწყვი აღმოჩნდა. ენიას თვალები გაუბრწყინდა, მარწყვს კრეფდა და იძახოდა:

— ერთ მარწყვს ვწყვეტ, მეორეს ვუყურებ, მესამეს ვინიშნავ, ხოლო მეოთხე მეჩვენება.

მაგრამ ენიას მალე მოსწყინდა მარწყვის კრეფა, ადგა და კალათაში ჩაიხედა. კალათაში მხოლოდ ოათხი მარწყვი აღმოჩნდა.

— ოჰო, — გაიფიქრა მან, — ასე კრეფა სრულიად არ მომწონს. სულ ჩატუტული უნდა ვიყო?! სანამ კალათას ავაესებ, დავიღლები კიდეც. ჯობს წავიდე და სხვა ადგილი მოვანხო.

ენია ისეთი ადგილის მოსაძებნად წავიდა, სადაც მარწყვი ფოთლებში არ იმალება, თვითონ გამოჩნდება და კალათაში მოთავსებას თხოულობს.

იარა-იარა და ასეთი მინდორი ვერსად ნახა; დაიღალა, ჩამოჯდა ჯირკბე დასასვენებლად, თან იღებდა მარწყვს კალათიდან და ჭამდა. ბოლოს ჩაიხედა ცარიელ კალათაში და გაიფიქრა: ნეტავი მარწყვის მოკრეფვაში ვინმემ მიინც მიშველოსო!

უცბად ხაესი შეინძრა, ამწვანებული ბაღაბი გადაიწი-გადმოიწია და ჯირკბენი გამოძერა თეთრ წამოსასხამიანი, გრძელწვერიანი და ხვერდის ქულიანი მომტრო ტანის მობუცი, რომელსაც განდავან ბაღაბის ღეროებში ჭკინდა ვაკეთებელი.

— გამარჯობა, გოგონა, — მიესალმა მობუცი.

— გავიმარჯოს, ძია.

— ძია კი არა, ბაბუა მქვია. ხნიერი ფიჭვის სოკო ვარ, — სოკოების და მარწყვების უფროსი. რატომ ხარ მოწყენილი, ვინ ვაწყენინა? — მარწყვებმა მაწყენინეს, ბაბუა, თვლით არ მენახებოიან, ფოთლებში იმალებიან. ამდენი ჩატუტებით დავიჭანცე და კალათას როგორ ავაესებ?

ტყის მოხუცმა ფიჭვის სოკომ ხელი ჩამოსივა წვერზე, გაიღიმა და თქვა:

— ეგ უმნიშვნელო რამ არის! მე ამისთვის სალამური მაქვს. როგორც კი დაუკრავს მარწყვები შინვე ფოთლებში მარწყვები გამოჩნდებიან.

ფიჭვის სოკომ ჯიბიდან სალამური ამოიღო და თქვა:

— დაუკარი, სალამურო!



როგორც კი სალამური ამღერდა, ყოველი მხრიდან ფოთლებში გამოჩნდნენ მარწყვები.

ტყის მოხუცმა დაიძაბა:

— გაჩერდი, სალამურო!

სალამური გაჩერდა და მარწყვები მიიმაღნენ. ენიას ძლიან გაუხარდა.

— ბაბუა, მაჩუქე ეს სალამური! ძალიან მომწონს!

— ვერ ვაჩუქებ, თუ გინდა, გავცელოთ: მე სალამურს მოგცემ, შენ კი კალათა მომეცი!

ენიამ მოხუცს მისცა კალათა, გამოართვა სალამური, სწრაფად გაიტკა, შუა მინდორში გაჩერდა და თქვა:

— დაუკარი, სალამურო.

სალამურმა დაუკრა. მაშინვე მარწყვის ყველა ფოთლი ისე შეირხა, თითქოს ქარმა დაუბერათ.

პირველად ფოთლებში მწვანე მარწყვები გამოჩნდნენ, შემდეგ თავები გამოჰყვეს მათზე ღიღრონმა მარწყვებმა, რომლებსაც ცალი ვერცხვები ვარდისფერი ჭკინდათ, ცალი—თეთრი შემდეგ

5143



გამოჩნდნენ უფრო მოზრდილი მარწყვები, მსხვილები და წითლები.

მალე მარწყვებით მოიფინა მთელი მიწდარი. მარწყვები მზეზე ბრწყინავენდნენ და სალამურისაკენ მოიწოდებდნენ.

ამ საამო ხმამ ირგვლივ ყველაფერი მოხიბლა. სოკოები ცერებზე დგებოდნენ, რომ მოესმინათ სალამურის ტკბილი ხმა. თვალბედავებელი პირველი კრიკინაც კი გაჩერდა პაერში და სალამურს უსმენდა.

აი, ახლა კი დავიწყებ კრეფას! — გაიფიქრა ეენიამ და როგორც კი გაიწოდა ხელი ყველაზე დიდ და წითელ მარწყვისაკენ, უცხად მოაგონდა, რომ კალათა გასცვალა სალამურზე და აღარაფერი აქვს მარწყვის ჩასაყრელად.

ეენია გაიქცა ტყის მოხუც სოკოსთან და უთხრა:

— ბაბუა, დამიბრუნე ჩემი კალათა, თორემ მარწყვების ჩასაყრელად არაფერი მაქვს!

— კარგი, — უპასუხა მოხუციმა, — კალათას მოგცემ, ხოლო შენ ჩემი სალამური დამიბრუნე. მისცა ეენიამ სალამური, გამოართვა თავის კალათა და სწრაფად გაიქცა მიწდგრისაკენ. მაგრამ, აი, საკვირველები! — სადღაა მარწყვი? მიწდორზე მხოლოდ ფოთლები მოჩანდა.

— აი, უბედურებო! სალამური მაქვს, კალათა მაკლია, კალათა მაქვს, სალამური მაკლია, როგორ მოვიქცე ახლა?

ეენიამ იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა ისევ წაეიდგეს მოხუცთან სალამურისათვის.

მივიდა და უთხრა:

— ბაბუა, ბაბუა, როგორღა მოგვკრეფე მარწყვს, როცა ისინი უსალამუროდ ფოთლებში მემალბებიან და თვალით არ მენახებიან? მე აუცილებლად მჭირდება კალათაც და სალამურიც.

— დახე, როგორი ეშმაკი გოგონაა, სალამურიც უნდა და კალათაც! არა, უსალამუროდ როცა იოლად წახვალ!

— ვერ წაველ იოლად, ბაბუა.

— მაშ, როგორ მიდიან იოლად სხვები?

— სხვები ჩაცუტულებიან ხოლმე, ფოთლებს გვერდიდან გაპყურებენ და ისე კრეფენ მარწყვს. ერთ მარწყვს წყვეტენ, მეორეს უყურებენ, მესამეს ინიშნავენ, მეოთხე კი ტყვენებათ. ასეთი კრეფა მე სულაც არ მომწონს. სულ ჩაცუტული უნდა იყო, სანამ გაავსებ კალათას, დაიღლები კიდევ.

ფიქვის სოკო ძალიან გაბრაზდა.

— აბა, მაშ ასე! თურმე ზარმაცი ყოფილხარ. აიღე შენი კალათა და წადი აქედან! ზედმეტია შენთვის სალამური! — ამ სიტყვებთან ერთად ფიქვის სოკომ დააბაჯუნა ფეხები და ჯირკის ქვეშ ჩაძვრა.

ეენიამ დახედა თავის ცარიელ კალათას. მოაგონდა, რომ მას უცდიდნენ მამა, დედა და პავლიკა. სწრაფად ჩაცუტუდა ფოთლებში და მარად დანიყო მარწყვის კრეფა.

ერთს წყვეტს, მეორეს უყურებს, მესამეს ინიშნავს, ხოლო მეოთხე ტყვენება...

— აი, ახლა კი კუიანი გოგონა ხარ, — უთხრა მამამ ეენიას, როცა მან სახეს კალათა მოიტანა, — ხომ არ დაიღალე?

— არა, მამა.

დაბრუნდნენ შინ ყველანი: მამა — სახეს ტოლით, დედა — სახეს ჯამით, ეენია — სახეს კალათით, ხოლო პატარა პავლიკა — ფინჯანით.

იმ სალამურის შესახებ კი ეენიას არაფერი უთქვამს.

თარგმანი ნ. თოდუაშვილისა





ქ. შოშიაშვილი

ნახატი ან. კანდელაკისა

მეზობლები

ზაფხულის ერთ საღამოს დედა კაქკაქმა შვილები ახალ კაბებში გამოაწყო და ქოჩორდავარცხნილები მეზობელ გვრიტს ესტუმრნენ.

გვრიტი ლატრიალდა, შვილები დახმარა და სტუმრებს მშვენიერი სუფრა გაუშალა.

კაქკაქის შვილები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

— დედა გვრიტო, იცი? გუშინ ტყეში კოდალას და გუგულს უჩხუბნიათ. — თქვა კაქკაქის უფროსმა შვილმა.

— რა ყოჩალი ხარ, საიდან გაიგე, გენაცვალე?! — დაუყვავა დედამ.

— დედიკო, ის დიდი ქადა მომწოდეს! — წამოიძახა კაქკაქის უმცროსმა შვილმა.

— ახლავე, შენი ჰირიმე! — მიუგო დედამ და შვილს მოზრდილი ქადა წინ დაუდო.

— დედა გვრიტო, გაიგეთ? გუშინ ოფოფმა ჩხიკვი ქურღობაზე შეისწრო!

კვლავ წამოიყვირა კაქკაქის უფროსმა შვილმა.

— დედა გენაცვალოს, შენ არაფერი გამოგეპარება! — კვლავ შეაქო დედამ.

— დედიკო, ახლა ის მურაბა გადმომიღე! — სთხოვა უმცროსმა კაქკაქმა დედას.

— კი, გენაცვალე! — უპასუხა დედამ და შვილს მურაბის ქილა მიაწოდა. უმცროსი კაქკაქი ხარბად ჰამდა მურაბას და სახე და კაბა სულ ერთიანად მოითხოვნა.

კოტა ხნის შემდეგ დედა კაქკაქმა თქვა:

— ძვირფასო გვრიტო! შენი შვილები მუნჯები ხომ არ არიან, ხმას რომ არ იღებენ?!

მუნჯები არა, მაგრამ არც ზედმეტ ლაპარაკს და გაუმძღრობას არიან მიჩვეულიო. — მიუგო გვრიტმა და ზრდილობიან შვილებს აღერსით გადახედა.

5 38/48

6 18/106
1951 წლის
თბილისი



საქართველოს
საბავშვო
საზღაპრო
საზღაპრო
საზღაპრო

ირაკლი აბაშიძე

ნახატი რ. ცუცქერიძისა

წყალი, მზე და ტანვარჯიში

დარიგება არ ვისმინო,—
განა ვისმე ვეყარები?..
საცურაოდ ღელეც მყოფნის,
მღინარეს არ ვეყარები.

სუფთა არის როგორც მინა,
ფიცხი, როგორც ნაპერწყალი.
დიდებივით ვივარჯიშოთ:
აგერ მზე და აგერ წყალი.

მზემ კუნთები გაგიკაფოს,
დაგვწვას სიცხის აღმურიტა,

გავცუროთ და გამოცუროთ
ტივურით და მხარულითა.

ვისაც ცურვა გაუძნელდეს,
მივეშველოთ გასაჭირში...
რა კარგია, რა საამო
წყალი, მზე და ტანვარჯიში.

შემომხედეთ, მეგობრებო,
რა ჯანი მაქვს, რა კუნთები!
სკოლის მერხთან სექტემბერში
რკინის კაცად დავბრუნდები!

ფინს მხატვრობა გელთენის რ. ცუცქერიძის

რედაქტორი იოსებ წინეშვილი სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ქს. ზურჯაძე, ი. გრიშაშვილი,
თ. თუმანიშვილი, მკვლეა მრეკლიშვილი რ. მარგანი, მ. საბარუღიძე, ნ. შაფერაშვილი, შ. ცხადაძე.

Д И Л А — советский детский журнал ЦК ВЛКСМ Грузии № 6 июль, 1951 г. Тбилиси, Ленинна 14.

საქართველო. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. მ. საბარ. ტელ. 1-7-28
გამომც. შეჯ. № 211 სტამბის შეჯ. № 491 ტირაჟი 10.000 ექ. 1951/52

დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში, ზარათაშვილის ქ. № 10/1 შეჯ. № 278